

სსიპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბრძანება

11.01.2018 № 01

თბილისი

2017/2018 სასწავლო წლის მეორე

სემესტრის სასწავლო განრიგის შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის, “უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით განვითარიშების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის საფუძველზე, 2017/2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით


ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2017/2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრის სააუდიტორო მეცადინეობები (ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორია, სემინარი და ა.შ.) უმაღლესი განათლების ყველა საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა, აგრეთვე პროფესიული უმაღლესი განათლება) სწავლების ყველა წლის სტუდენტებისათვის, გარდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა (ბაკალავრიატი), ჩატარდეს 2018 წლის 12 მარტიდან 2018 წლის 07 ივნისის ჩათვლით (იხ. დანართი 1);
2. პრაქტიკა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩატარდეს სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) შესაბამისად;
3. უმაღლესი განათლების ყველა საფეხურის სასწავლო კომპონენტებში პირველი შუალედური გამოცდა (ტესტირება) ჩატარდეს მე-7 სასწავლო კვირაში – 2018 წლის 23 აპრილიდან 28 აპრილის ჩათვლით, ხოლო 2-ე შუალედური გამოცდა (ტესტირება) მე-14 სასწავლო კვირაში, 2018 წლის 11 ივნისიდან 16 ივნისის ჩათვლით. დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2018 წლის 09 ივნისიდან 21 ივნისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდები – 2018 წლის 23 ივნისიდან 28 ივნისის ჩათვლით (იხ. დანართი 1);
4. მაგისტრატურისა და დოქტორანტურის კვლევითი კომპონენტი (პროსპექტუსი, კოლოკვიუმი, სამაგისტრო საკვალიფიკაციო ნაშრომის/სადოქტორო დისერტაციის დაცვა) უნდა შეფასდეს ერთჯერადად. აღნიშნული, როგორც წესი, უნდა განხორციელდეს დასკვნითი გამოცდების ვადაში (იხ. დანართი 1);
5. შუალედური გამოცდების (ტესტირებების) კვირებში სააუდიტორო მეცადინეობები არ დაიგეგმოს (იხ. დანართი 1);
6. დოქტორანტურის კომპონენტში – „დისერტაციის დასრულება და დაცვა“ დისერტაციის წინასწარი დაცვა, როგორც წესი, ჩატარდეს მე-8 სასწავლო კვირაში – 2018 წლის 30 აპრილიდან 05 მაისის ჩათვლით (იხ. დანართი 1);
7. სასწავლო კომპონენტის (სასწავლო კურსი, სემინარი, პრაქტიკა და სხვა) წამყვანი პროფესორი ვალდებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულ სტუდენტთა

- შეფასების ელექტრონულ უწყისში (შემდგომში – ელექტრონული უწყისი, იხ. დანართი 3, 4, 6) სტუდენტთა ყოველკვირებული შეფასების (გარდა დოქტორანტურის სასწავლო კურსისა), შუალედური გამოცდის (ტესტირების), დასკვნითი ან/და დამატებითი გამოცდის (იხ. დანართი 2) შედეგები შეიტანოს არაუგვიანეს შეფასების/გამოცდის ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ორი სამუშაო დღისა (17 საათამდე);
8. უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი ვალდებულია ელექტრონულ უწყისში შეიტანოს კომპიუტერულ ცენტრში ჩატარებული შუალედური გამოცდის (ტესტირების), დასკვნითი ან/და დამატებითი გამოცდის შედეგები არაუგვიანეს გამოცდის/ტესტირების ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ორი სამუშაო დღისა (17 საათამდე);
9. მაგისტრანტის ხელმძღვანელი/დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია კვლევითი კომპონენტის (დოქტორანტურაში – აგრეთვე სემინარის) შეფასების შედეგი შეიტანოს ელექტრონულ უწყისში (იხ. დანართი 5, 7, 8) არაუგვიანეს შესაბამისი შეფასების/დაცვის ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ორი სამუშაო დღისა (17 საათამდე);
10. სემესტრის ბოლოს, არაუგვიანეს დამატებითი გამოცდის ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ორი სამუშაო დღისა, სასწავლო კომპონენტის წამყვანი პროფესორი, მაგისტრანტის ხელმძღვანელი/დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი აკადემიურ დეპარტამენტში ელექტრონული უწყისის ამონაბეჭდზე (2 ეგზ.) ხელმოწერით დაადასტურებს მონაცემებს. დეპარტამენტის სპეციალისტი უწყისს გაატარებს რეგისტრაციაში და არსებული წესის მიხედვით გადასცემს დეკანატს;
11. დაევალოთ ფაკულტეტების დეკანებს:
- 11.1. სემესტრის დაწყებამდე ორი კვირით ადრე სწავლების დეპარტამენტში შესათანხმებლად წარადგინონ საფაკულტეტო ბრძანებების პროექტები მიმდინარე სემესტრში საწარმოო პრაქტიკის გავლის გრაფიკის შესახებ;
- 11.2. სემესტრის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ ინფორმაცია აკადემიური ჯგუფების მიერ მიმდინარე სემესტრში გეგმურად გასავლელი სასწავლო კურსებისა (მათ შორის – სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის) და კვლევითი კომპონენტების ელექტრონული უწყისების ფორმირების დასრულების შესახებ;
- 11.3. სემესტრის დაწყებამდე უზრუნველყონ სტუდენტთა აკადემიური (წინა სემესტრის/სემესტრების სწავლის შედეგების შემოწმება ან/და სასწავლო ხელშეკრულების გაფორმება) და ადმინისტრაციული (საფინანსო ხელშეკრულების გაფორმება ან/და სწავლის საფასურის გადახდა) რეგისტრაციის ჩატარება, რეგისტრირებული სტუდენტების ელექტრონულ უწყისებში ასახვა;
- 11.4. სემესტრის დაწყებიდან ერთ კვირაში უზრუნველყონ არარეგისტრირებულ სტუდენტთა ინფორმირება;
- 11.5. სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ ბრძანებების პროექტები აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტების სასწავლო კურსებისა და კვლევითი კომპონენტების დამატებით (ხელახლა) გასავლელად დაშვების თაობაზე (კრედიტების მითითებით), აგრეთვე ინფორმაცია შესაბამისი ელექტრონული უწყისების ფორმირების დასრულების შესახებ;
- 11.6. სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ ინფორმაცია ბაკალავრიატისა და პროფესიული უმაღლესი განათლების დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტების აკადემიური დავალიანების შესახებ;
- 11.7. სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ ინფორმაცია კონსულტაციების დანიშვნის პროცესის დასრულების შესახებ;

- 11.8. სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ საფაკულტეტო ბრძანებები მიმდინარე სემესტრში კომპონენტზე – „სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა“ მაგისტრანტების დაშვების შესახებ (იხ. დანართი 9);
- 11.9. სამაგისტრო საკუალიფიკაციო ნაშრომების დაცვამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე წარმოადგინონ ბრძანებების პროექტები საგამოცდო კომისიების შემადგენლობის დამტკიცებისა და ნაშრომების დაცვის დანიშვნის შესახებ მაგისტრანტის, თემის დასახელების, ხელმძღვანელის, რეცენზენტის, დაცვის დროისა და ადგილის, აგრეთვე კრედიტებისა და ფინანსური ვალდებულებების შესრულების შესახებ ინფორმაციის მითითებით;
- 11.10. სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ საფაკულტეტო ბრძანებები მიმდინარე სემესტრში კომპონენტზე – „დისერტაციის დასრულება და დაცვა“ დოქტორანტების დაშვების შესახებ, აკადემიური და ფინანსური დავალიანების არარსებობის მითითებით (იხ. დანართი 10);
- 11.11. სესიების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე მომზადებული საფაკულტეტო ბრძანებები დოქტორანტურის კვლევითი კომპონენტის კოლოკვიუმებისა და სემინარების კომისიების შემადგენლობისა და მათი მუშაობის განრიგის (ჩატარების ადგილი, კომისიების მუშაობის დაწყების დრო) შესახებ;
- 11.12. დისერტაციის დაცვამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე წარმოადგინონ ბრძანებების პროექტები დისერტაციების დაცვის დანიშვნის შესახებ დისერტანტის, თემის დასახელების, ხელმძღვანელის, რეცენზენტების, დაცვის დროისა და ადგილის, აგრეთვე კრედიტებისა და ფინანსური ვალდებულებების შესრულების შესახებ ინფორმაციის მითითებით;
- 11.13. სესიების დაწყებამდე ერთი თვით ადრე სწავლების დეპარტამენტში შესათანხმებლად წარადგინონ დასკვნითი გამოცდების ცხრილი;
- 11.14. უზრუნველყონ სამაგისტრო ნაშრომების დაცვის, დოქტორანტების სემინარის/კოლოკვიუმის, დისერტაციის წინასწარი დაცვისა და დისერტაციის დაცვის პროცესის სრული აუდიო (ვიდეო) ჩაწერა და ჩანაწერის კომპაქტ-დისკზე შენახვა, შესაბამისად, მაგისტრანტის ნაშრომის დაცვის, დოქტორანტის სემინარის/კოლოკვიუმის/დისერტაციის წინასწარი დაცვის/დისერტაციის დაცვის ოქმის დანართის სახით;
- 11.15. უზრუნველყონ აკადემიურ დეპარტამენტებთან ერთად სემესტრის განმავლობაში სტუდენტთა შეფასების უწყისების შევსების მონიტორინგი;
- 11.16. სემესტრის დამთავრებიდან ორი კვირის ვადაში სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ მოხსენებითი ბარათები სემესტრის ჩატარების, საბოლოო შედეგებისა და სტუდენტთა შეფასებების უწყისების რეგისტრაციის დასრულების შესახებ, აგრეთვე სტუდენტთა რეიტინგული სიები;
- 11.17. სემესტრის დამთავრებიდან ერთი თვის ვადაში სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ სტუდენტთა სწავლების შემდეგ წელზე გადაყვანის ბრძანებათა პროექტები;
- 11.18. სემესტრის დამთავრებიდან სამი თვის ვადაში სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ მოხსენებითი ბარათები კურსდამთავრებულებისათვის კვალიფიკაციის მინიჭებისა და დიპლომისა და დიპლომის დანართების მომზადების პროცესის დასრულების შესახებ;

12. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტს (ი. ლომიძე);
13. ბრძანება გამოკრულ იქნეს თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის
ვებგვერდზე.


რექტორი 
ვიზები:

ვიცე-რექტორი
ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი ი. ლომიძე

სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი ბ. მაისურაძე

ა. ფრანგიშვილი



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2017/2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრის სასწავლო გრაფიკი
(გარდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სან-დიოგოს საედუკაციო უნივერსიტეტს შეაძლებელია სასწავლი საქართველოს და საქართველოს სამსახურის მიერ გრაფიკი)

სტუდენტთა მიღწევების შეფასება

I. სასწავლო კომპონენტი

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული უმაღლესი განათლების, ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სასწავლო კურსებში (საგნებში) შუალედური შეფასებები მოიცავს ყოველკვირეულ შეფასებებს და შუალედურ გამოცდებს (ტესტირებებს):

• ყოველკვირეული შეფასებები – მაქსიმალური ჯამური (სემესტრული) შეფასება არის 30 ქულა (2 ქულა X 15 კვირა);

• I შუალედური გამოცდა (ტესტირება) – მაქსიმალური შეფასება 20 ქულა;

• II შუალედური გამოცდა (ტესტირება) – მაქსიმალური შეფასება 20 ქულა;

ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამებზე მყოფი სტუდენტებისათვის სემესტრის განმავლობაში მითითებული ორის ნაცვლად ჩატარდება სამი შუალედური გამოცდა (ტესტირება):

▪ I შუალედური გამოცდა (ტესტირება) – მაქსიმალური შეფასება 20 ქულა;

▪ II შუალედური გამოცდა (ტესტირება) – მაქსიმალური შეფასება 20 ქულა;

▪ III შუალედური გამოცდა (ტესტირება) – შესაძლო მაქსიმალური შეფასება შეადგენს სხვაობას 30 ქულასა და სტუდენტის მიერ ყოველკვირეულ შეფასებებში ფაქტობრივად დაგროვებულ ქულებს შორის;

დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 30 ქულა;

შუალედურ შეფასებებში პროფესიული უმაღლესი განათლებისა და ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის ჯამური მინიმალური დადებითი შეფასებაა 21 ქულა, ხოლო მაგისტრატურის სტუდენტებისათვის – 30 ქულა.

სასწავლო კომპონენტში დასკვნით/დამატებით გამოცდაში მინიმალური დადებითი შეფასება პროფესიული უმაღლესი განათლებისა და ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის შეადგენს 7,5 ქულას, ხოლო მაგისტრატურის სტუდენტებისათვის – 15 ქულას;

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედურ შეფასებებში გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (დააგროვა არანაკლებ მინიმალური დადებითი შეფასებისა), ამასთან შეასრულა და დროულად ჩააბარა პროგრამით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი (ლაბორატორიული/პრაქტიკული/საკურსო, პრაქტიკის ანგარიში და ა.შ.);

2. დოკტორანტურის სტუდენტებისათვის სასწავლო კომპონენტებში ტარდება ორ-ორი შუალედური გამოცდა (ტესტირება):

• I შუალედური გამოცდა (ტესტირება) – მაქსიმალური შეფასება 30 ქულა;

• II შუალედური გამოცდა (ტესტირება) – მაქსიმალური შეფასება 30 ქულა;

დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 40 ქულას;

შუალედური შეფასებების (ჯამური) მინიმალური დადებითი შეფასება შეადგენს 30 ქულას, ხოლო დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მინიმალური დადებითი შეფასება – 20 ქულას.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა დოკტორანტს, რომელმაც მთლიანად შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული წინაპირობები და შუალედურ შეფასებებში გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (მიიღო არანაკლებ

მინიმალური დადებითი შეფასებისა), ამასთან შეასრულა და დროულად ჩააბარა პროგრამით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი;

3. საბოლოო დადებითი შეფასების გაფორმების მიზნით სტუდენტი ვალდებულია გავიდეს დასკვნით გამოცდაზე (შესაბამისი უფლების არსებობისას – დამატებით გამოცდაზე) და გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (მიიღო არანაკლებ მინიმალური დადებითი შეფასებისა);
4. შუალედური შეფასებებისა და დასკვნით გამოცდაზე მიღებული შეფასების ჯამში 41-50 ქულის დაგროვებისას (FX შეფასება – ვერ ჩააბარა), ან აღნიშნული შეფასებების ჯამში 51 და მეტი ქულის დაგროვებისას, მაგრამ დასკვნით გამოცდაზე არასაკმარისი შეფასების მიღებისას, სტუდენტს აქვს იმავე სასესიო პერიოდში დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; დასკვნით გამოცდაზე დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას სტუდენტს, სწავლების დეპარტამენტის წარდგინებით და რექტორის თანხმობით, მიეცემა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება;
5. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა; სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში;
6. სტუდენტს კრედიტი ენიჭება შეფასების თითოეულ ფორმაში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვისა და შეფასების სისტემით განსაზღვრული, ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში (იხ. პ 7.ა).
7. შეფასების სისტემა უშვებს:
 - ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
 - ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
 - ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
 - ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;
 - ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
 - ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.
 - ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
 - ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
 - ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
8. სტუდენტის საბოლოო შეფასება მიიღება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი/დამატებითი გამოცდის შეფასების შეჯამებით. შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამში 41-ზე ნაკლები ქულის დაგროვებისას (F შეფასება – ჩაიჭრა), ან შუალედური შეფასებებისა და დამატებითი გამოცდის შედეგად 51-ზე ნაკლები ქულის დაგროვებისას (შეფასებები FX ან F), ან დასკვნით/დამატებით გამოცდაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას ან არასაკმარისი ქულის მიღებისას, აგრეთვე

დოკუმენტური მასალის შეუსრულებლობის ან დროულად ჩაუბარებლობისას სტუდენტს უფორმდება შეფასება F – 0 ქულა და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

II. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი

1. მაგისტრატურის სტუდენტებისათვის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტებში (პროსპექტუსი/კოლოკვიუმი/“სამაგისტრო საკვალიფიკაციო ნაშრომის დასრულება და დაცვა”) ერთჯერადად ტარდება დასკვნითი შეფასება/დაცვა, რომლის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას; პროსპექტუსისა და კოლოკვიუმის დასკვნით შეფასებაზე გასვლის უფლება ეძლევა მაგისტრანტს, რომელმაც შეასრულა და ხელმძღვანელს დროულად ჩააბარა პროგრამით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი; სამაგისტრო საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვაზე გასვლის უფლება ეძლევა მაგისტრანტს, რომელმაც მთლიანად შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით წინა სემესტრებში გათვალისწინებული ყველა კომპონენტი, ამასთან დაასრულა და ხელმძღვანელს დროულად წარუდგინა საკვალიფიკაციო ნაშრომი; ამ დანართის I პარაგრაფის მე-7 პუნქტის „ბა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (პროსპექტუსი/კოლოკვიუმი/სამაგისტრო საკვალიფიკაციო ნაშრომი) წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო „ბბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში იგი კარგავს იმავე პროსპექტუსის/კოლოკვიუმის/სამაგისტრო საკვალიფიკაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას;

2. დოქტორანტურის სტუდენტებისათვის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტებში (პროსპექტუსი/კოლოკვიუმი/„დისერტაციის დასრულება და დაცვა“) ერთჯერადად ტარდება დასკვნითი შეფასება/დაცვა.

დისერტაციის დაცვაზე გასვლის უფლება ეძლევა დოქტორანტს, რომელმაც მთლიანად შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი და კომპონენტში „დისერტაციის დასრულება და დაცვა“ შესაბამის აკადემიური დეპარტამენტის სხდომაზე გაიარა დისერტაციის წინასწარი დაცვა, ამასთან დაასრულა და დადგენილი წესით სადისერტაციო საბჭოში წარადგინა ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დასრულებული დისერტაციისა და ავტორეფერატის ეგზემპლარები; სხვა სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების (პროსპექტუსი, კოლოკვიუმი) საბოლოო შეფასებაზე გასვლის უფლება ეძლევა დოქტორანტს, რომელმაც მთლიანად შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული წინაპირობები, ამასთან შეასრულა და დროულად ჩააბარა პროგრამით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის/კომპონენტების შეფასების სისტემაა:

- ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
- ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

კომპონენტში – „დისერტაციის დასრულება და დაცვა“ ამ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი წარადგინოს ერთი წლის განმავლობაში, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში იგი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სხვა სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტებისათვის (პროსპექტუსი, კოლოკვიუმი) ამ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული პროსპექტუსი/კოლოკვიუმი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში იგი კარგავს, იმავე პროსპექტუსის/კოლოკვიუმის წარდგენის უფლებას;

დასახელებული შეფასებები მიიღება შესაბამისი კომისიის/სადისერტაციო საბჭოს წევრების მიერ, დადგენილი კრიტერიუმებით, ფარულად მინიჭებული ქულების (0-100) საშუალო არითმეტიკულის მიხედვით. კერძოდ:

- შეფასება „ფრიადი“ მიიღება, თუ დოქტორანტი დააგროვებს 91-100 ქულას;
- შეფასება „ძალიან კარგი“ მიიღება, თუ დოქტორანტი დააგროვებს 81-90 ქულას;
- შეფასება „კარგი“ მიიღება, თუ დოქტორანტი დააგროვებს 71-80 ქულას;
- შეფასება „საშუალო“ მიიღება, თუ დოქტორანტი დააგროვებს 61-70 ქულას;
- შეფასება „დამაკმაყოფილებელი“ მიიღება, თუ დოქტორანტი დააგროვებს 51-60 ქულას;
- შეფასება „არადამაკმაყოფილებელი“ მიიღება, თუ დოქტორანტი დააგროვებს 41-50 ქულას;

- შეფასება „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“ მიიღება, თუ დოქტორანტი დააგროვებს 40 ქულას და ნაკლებს.

3. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი, როგორც წესი, უნდა შეფასდეს იმავე სემესტრში. განსხვავებული ვადები შეიძლება განისაზღვროს „სტუ-ში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის“ მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად.

თუ მაგისტრანტი/დოქტორანტი წინა სემესტრის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში დადებით შეფასებას მიიღებს მომდევნო სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 6 კვირაში, მას მიეცემა სასწავლო ხელშეკრულების გაფორმების უფლება იმ კომპონენტის გავლაზე, რომლის წინაპირობაც მოცემული კომპონენტია.

III. ზოგადი ინფორმაცია

1. პროგრამით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმის (ლაბორატორიული/პრაქტიკული/საკურსო სამუშაო, პრაქტიკის ანგარიში, პროსპექტუსი, სემინარი, თეორიული-ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი, სამაგისტრო საკვალიფიკაციო ნაშრომი და ა.შ., გარდა დოქტორანტურის კომპონენტისა – „დისერტაციის დასრულება და დაცვა“) შესრულების და შესაბამისი დოკუმენტური მასალის ჩაბარების აღსანიშნავად, ელექტრონულ უწყისში სააუდიტორიო მეცადინეობების ბოლო კვირის შეფასებების ფანჯარასთან ერთად გაიხსნება შესაბამისი ფანჯარა (შემდგომში – დოკუმენტური მასალის ფანჯარა) სათანადო მონიშვნის გაკეთების მიზნით. დოკუმენტური მასალის ფანჯარა იხსნება პროგრამით განსაზღვრული თითოეული ჩასაბარებელი სამუშაოსათვის;
2. შესაბამისი დასკვნითი გამოცდის/დასკვნითი შეფასების/დაცვის უჯრა გაიხსნება სესიების პერიოდში, სტუდენტის მიერ დასკვნით გამოცდაზე გასასვლელად აუცილებელი ქულების დაგროვების (სასწავლო კომპონენტები) ან/და დოკუმენტური მასალის ჩაბარების (უწყისში სათანადო მონიშვნის) შემდეგ; დოკუმენტური მასალის ფანჯარა/ფანჯრები დაიხურება დასკვნითი გამოცდის ფანჯრის დახურვასთან ერთად;
3. დოქტორანტურის კომპონენტში – „დისერტაციის დასრულება და დაცვა“ უწყისში დოკუმენტური მასალის ფანჯრები გაიხსნება მე-9 სასწავლო კვირის დასაწყისში და დაიხურება სადისერტაციო საბჭოში დისერტაციისა და ავტორეფერატის წარდგენის ბოლო ვადის მომდევნო ორ სამუშაო დღეში (17 საათზე), ხოლო შესაბამისი დასკვნითი შეფასების (დაცვის) უჯრა გაიხსნება სესიების პერიოდში, სტუდენტის მიერ დოკუმენტური მასალის (დისერტაციის) ჩაბარების (უწყისში სათანადო მონიშვნის) შემთხვევაში;
4. სასწავლო კომპონენტის პედაგოგი ვალდებულია მეცადინეობის დაწყებამდე გაიაროს ელექტრონული რეგისტრაცია, შევიდეს აუდიტორიაში და ჩატაროს მეცადინეობა სილაბუსის შესაბამისად. ჯენფის გამოუცხადებლობის შემთხვევაში იგი ვალდებულია არ დატოვოს აუდიტორია 15 (თხუთმეტი) წუთის განმავლობაში, რის შემდეგაც ინფორმაცია მიაწოდოს შესაბამის დეკანატს და გააკეთოს აღნიშვნა რეგისტრაციის სისტემაში;
5. სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი ვალდებულია ელექტრონულ უწყისში შეიტანოს სტუდენტის მიერ მიღებული შეფასება; სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი ვალდებულია უზრუნველყოს სათანადო სასწავლო მასალის მიწოდება და სტუდენტის მიერ ყოველკვირეული შეფასების მიღების შესაძლებლობა იმ შემთხვევაშიც, თუ სასწავლო ცხრილის მიხედვით მეცადინეობის ჩატარება ემთხვევა უქმე დღეს; აღნიშნულის რეალიზაციისათვის დასაშვებია დამატებითი მეცადინეობების ჩატარება, თემების გადანაწილება ან სხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის ნორმალურ მსვლელობას;
6. პრაქტიკა, რომლის ჩატარების ვადები სააუდიტორიო მეცადინეობების ჩატარების ვადებს ემთხვევა (მაგალითად, პროფესიული უმაღლესი განათლების მე-5 სემესტრის

პრაქტიკა), ისევე შეფასდება, როგორც დამოუკიდებელი სასწავლო კურსი ან მისი კომპონენტი (პროგრამით განსაზღვრული ფორმატის შესაბამისად);

7. პრაქტიკა, რომლის ჩატარების ვადები სააუდიტორიო მეცადინეობების ჩატარების ვადებს არ ემთხვევა, შეფასდება სილაბუსში აღწერილი და სწავლების დეპარტამენტში შეთანხმებული წესით, - "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

№ აკადემიური ჯგუფის სტუდენტთა სასწავლო კურსის შეფასების ელექტრონული
უწყისი №
სწავლების წელი: სუმეტრი: სასწავლო წელი:

სწავლის საფეხური: პროფესიული უმაღლესი განათლება ბაკალავრიატი მაგისტრატურა
საწავლო კურსის დასტურება:
საწავლის საფეხურის დასტურება:

წამყვანი პროფესორი

ECTS სწავლების ფორმა ლექცია: პრაქტიკული: ლაბორატორიული: სხვა:
კრედიტი: სწავლის დაკორექტული პრაქტიკულის სამინიჭო: სემინარი: საკურსო პროექტის სამუშაო:

№	გვარი, სახელი	კურსის №	შუალედური შეფასებები, ქულა															გამოყენება, ქულა	საბოლოო შეფასება			
			1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17			
			(დამცავი კურსის შეფასება)	(დამცავი კურსის შეფასება)	(დამცავი კურსის შეფასება)	(დამცავი კურსის შეფასება)	(დამცავი კურსის შეფასება)	(დამცავი კურსის შეფასება)	(დამცავი კურსის შეფასება)	(დამცავი კურსის შეფასება)	(დამცავი კურსის შეფასება)	(დამცავი კურსის შეფასება)	(დამცავი კურსის შეფასება)	(დამცავი კურსის შეფასება)	(დამცავი კურსის შეფასება)	(დამცავი კურსის შეფასება)	(დამცავი კურსის შეფასება)	(დამცავი კურსის შეფასება)	(დამცავი კურსის შეფასება)	(დამცავი კურსის შეფასება)	(დამცავი კურსის შეფასება)	
1	მაქსიმალური ქულა	2	2	2	2	2	2	20	2	2	2	2	2	2	2	20	2	2	2	70	30	100
2																						
3																						

შენიშვნა

საწავლის კურსის წამყვანი პროფესიონი	ინიც. და განი	სულიერება თანილი	ფაკულტეტის დეკანი
დეპარტამენტის უფროსი	ინიც. და განი	სულიერება თანილი	ინიც. და განი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

№ აკადემიური ჯგუფის ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე მყოფ
სტუდენტთა სასწავლო კურსის შეფასების ელექტრონული უწყისი №.....

სწავლის წელი: [] სემესტრი: []

სასწავლის წელი:

სწავლის საფეხური: პროფესიული უმაღლესი განათლება
სასწავლო კურსის დასახულება:

ბაკალავრიატი

წარეცვანი პროფესიონი:

ECTS სწავლის ფორმა ლექცია: კრატეიცული: ლაბორატორიული:
და კორექტული სტუდენტის სამუშაო:

კრებული: სტუდენტის სამუშაო:
დატვირთვა, სთ: სტუდენტის პროექტის სამუშაო:

№	გვარი, სახელი	მაქსიმალური კულა	კვალიფიკაცია შეფასებები, ქულა	კვირის №														ეძღვის დანერგვის თარიღი	ეძღვის დანერგვის თარიღი		
				1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15			
	კოვალელი შეფასება	2	2	2	2	2	20	2	2	2	2	2	2	2	20	2	2	30(30)*	70	30	100
1	მაქსიმალური კულა																		-		
	შენიშვნა																				

სასწავლო პურის წამყვანი	ინაც. და გვარი	ხლომოწერა	თარიღი	ფაკულტეტის დეკანი
დეპარტამენტის უფროსი	ინაც. და გვარი	ხლომოწერა	თარიღ. №	თარიღი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უკუკულტეტის

Nº აბაზემიური ჯგუფის მამისზრანთის/მაგისტრანტების სამეცნიერო-კვლევების
კომიტეტის წელი: []

სწავლების წელი: [] სემესტრი: []

კომპიუტერზონაზება:

ხელმძღვანელი:

ECTS []
კრედიტი:

Nº	გვარი, სახელი	დოკუმენტური მასალა	დასკვნითი შეფასება	დონის გრადუაცია
1		მაქსიმალური ქულა	-	100
2				-
3				-
4				-
5				-
შენიშვნა:				

ხელმძღვანელი:	ინიც. და გვარი	ბელმოწყვა	თარიღი	ფაკულტეტის დეკანი
დეკანურამენტის უფროსი	ინიც. და გვარი	ბელმოწყვა	რეგ.№	თარიღი ინიც. და გვარი ხელმოწყვა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Nº აპაღმიური ჯგუფი დოქტორანტის/დოქტორატების სასწავლო გურიაში

Nº აპაღმიური ჯგუფის წელი: გეგვასების ელექტრონული უფყისი №

სწავლის წელი: სტუსტი: სასწავლო წელი:

ECTS

სასწავლო კურსის დასახელება:

წამყვანი პროფესორი:

ECTS
კრედიტი:

Nº	გვარი, სახელი	კვირის		Nº	საბოლოო შეფასება
		7	14		
	შეკვეთური შეფასებები, ქულა			18,19	20
I	შუალედური გამოცდა (ტესტირება)	II	შუალედური გამოცდა (ტესტირება)		
მაქსიმალური ქულა	30	30	60	40	100
1					
2					
3					
4					
5					
შენიშვნა:					

წამყვანი პროფესორი:	ინგ. და გარი ხუმიშვილი	თარიღი	ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი
დეპარტამენტის უფროსი	ინგ. და გარი ხუმიშვილი	რჩებ.№	თარიღი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უკულტეტის

Nº აპაღემიური ჯგუფის დოჟორანტის/დოჟორორანტის სემინარის შევასების
ელექტრონული უზყის №
სწავლის წელი: სუმესტი:

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

სწავლის დასახელება:

ECTS კრედიტი: ECTS კრედიტი:

№	გენერიკული სახელი, სახელი გვარი, სახელი	კვირის №		საბოლოო შეფასება
		7	14	
		18,19	20	
1	შუალედური გამოცდა (ტესტირება)	II	შუალედური გამოცდა (ტესტირება)	შუალედური გამოცდები, ქულა
2	მაქსიმალური ქულა	30	30	60
3				40
4				40
5				100
შენიშვნა:				

სამულო ხელმძღვანელი:	ინგ. და გვარი	ხელმოწერა	თარიღი	ფაკულტეტის დეკანი
დაკარტაშენტის უფროსი	ინგ. და გვარი	ხელმოწერა	რეგ.№	თარიღი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ვაკულტეტის

№ აპალემიური ჯგუფის ღრმულრანტის/დოკტორანტების სამეცნიერო-კვლევითი
კრიკორნენტის შეფასების ელექტრონული უფისი №
 კრიკორნენტის დასახულება: სახავლის წელი:
 კომპიუტრის დასახულება: სუმუტრი:

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ECTS კრედიტი:

№	გვარი, სახელი	დოკუმენტური მასალა	დასკვნითი შეფასება	
			ქულა	შეფასება
1	მაქსიმალური ქულა	-	100	-
2				
3				
4				
5				
შენიშვნა				

სამუცნერო ხელმძღვანელი:	ინიც. და გვარი	ბეჭდონწერა	თარიღი	ფაკულტეტის დეპარტამენტი
დუკარტამენტის უფროსი	ინიც. და გვარი	ბეჭდონწერა	რეგ.№	თარიღი

კომპონენტზე „დისერტაციის დასრულება და დაცვა“ დოკტორნობის დაშვების შესახებ გოქნების დანართის ფორმა

№	სადოქტორო პროგრამა	ჯერ-ფი	დოქტორანტის გვარი და სახელი	ხელმძღვანელის თანამდებობა, გვარი და სახელი	დაგროვე- ზული კრედი- ტების რაოდე- ნობა, ECTS კრედიტი	აკადემიუ- რი დაფა- ლიანება, ECTS კრედიტი	ფინანსური დაალი- ანება, ლარი	